

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ. თელავი

2022 წლის 18 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ლაღანიძე, ზურაბ მოსახლიაშვილი, ეკატერინე ონიკაძე, მიხეილ დალუნდარიძე, ალექსანდრე შათირიაშვილი, ალექსი ძულიაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი**, ამავე სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი **ლალი მერაბიშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის

უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

4. **ლევან ბერძენაშვილის** ინფორმაცია მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტში უძრავი ქონების პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

მომხს: თ. ხანჯალიაშვილი

თანამომხს: ლ. ბერძენაშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: მიხეილ დალუნდარიძემ აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შესატანად წარმოდგენილი ავტომანქანა არის 16 წლის, გაუმართავია და ვერ გადის ყოველწლიურ ტექნიკურ დათვალიერებას, კარგი იქნება თუ მერია ანალოგიურ მდგომარეობაში არსებულ სხვა ტრანსპორტსაც შეიტანს ნუსხაში და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

მიხეილ დალუნდარიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება) საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ლალი მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ვადა უმთავრდება შ.პ.ს. თელავგაზთან არსებულ საიჯარო ხელშეკრულებას გაზსადენი

მილის ქსელით სარგებლობაზე, რომლის მეშვეობით სოფლების მოსახლეობას მიეწოდება ბუნებრივი აირი. საიჯარო ქირის ოდენობა განსაზღვრულია წლიურად 30000 ლარის ოდენობით.

ლევან ბერძენაშვილმა გამოთქვა მოსაზრება თელავის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გაზსადენი მილის ქსელის შ.პ.ს. „თელავგაზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

მოსმინეს 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ეკატერინე ონიკაძემ** წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“ მიერ გასულ წლებში განხორციელებული აქტივობების და სამომავლო გეგმების შესახებ.

თინათინ ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“ ახორციელებს მოსახლეობის გარკვეულ ფენისთვის მნიშვნელოვან სოციალურ პროექტებს, ამდენად პროექტი უსასყიდლო უზუფრუქტით ქონების გადაცემის შესახებ საჭიროა განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

თინათინ ხანჯალიაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: საკითხი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დადებითი რეკომენდაციით.

მოისმინეს 4. ლევან ბერძენაშვილის ინფორმაცია მიმდინარე წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტში უძრავი ქონების პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან ბერძენაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ექვს თვეში მერიას საპრივატიზაციოდ არ გაუტანია საპრივატიზაციო ნუსხაში აღრიცხული უძრავი ქონება, რის გამოც მოსალოდნელია, რომ ვერ შესრულდეს ამ კუთხით ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმილი წლიური პარამეტრი, რომლის წლიური ოდენობა შეადგენს 2 470 000 ლარს და საფრთხე შეექმნას ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დაფინანსებას.

თინათინ ხანჯალიაშვილმა დააყენა წინადადება უძრავი ქონების პრივატიზაციის მიმდინარეობის თაობაზე მერიისთვის შესაბამისი რეკომენდაციის მიცემის შესახებ.

თინათინ ხანჯალიაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: მერიისთვის მიცემული იქნას რეკომენდაცია უძრავი ქონების პრივატიზაციის მიმდინარეობის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

თ. ხაჯ

თინათინ ხანჯალიაშვილი